

შპს “ას კონსტრაქშენი”

31 დეკემბერი, 2021

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს “ას კონსტრაქშენი”

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა	5
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
3. კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	9
4. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	10
5. ძირითადი საშუალებები	12
6. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
8. ფული და ფულის ექვივალენტები	14
9. სანესდებო კაპიტალი	14
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
11. შემოსავლები	15
12. გაყიდვების თვითღირებულება.....	15
13. გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯი	16
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	16
15. უცხოური გაცვლითი კურსის ტრანზაქციებიდან მიღებული ზარალი/(მოგება)	16
16. სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა.....	16
17. მოგების გადასახადი.....	17
18. გაუთვალისწინებელი გარემოებები და ვალდებულებები.....	17
19. ფინანსური რისკების მართვა.....	17
20. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება	19
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ას კონსტრაქშენის“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ას კონსტრაქშენის“ (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, გარდა პირობითი მოსაზრების საფუძველის აბზაცში ასახული საკითხების შესაძლო ეფექტისა, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად და სხვა სააღრიცხვო პოლიტიკები როგორც მოხსენიებულია განმარტებით შენიშვნა 2-ში.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავაკვირდით წლის ბოლოს და წლის დასაწყისში ჩატარებულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სახსრების ინვენტარიზაციას, ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით 2021 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 1 იანვრისათვის არსებული მარაგის რაოდენობის სახსრების სისწორეში რაც ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია შესაბამისად 255,671 ლარი (2020:827,263 ლარი). ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა აღრიცხულ ან აღურიცხავ სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებთან და სალაროში არსებულ ფულად სახსრებთან დაკავშირებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აგრეთვე მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში. აღნიშნული ფაქტის არსებითი ეფექტის გამო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებაზე ჩვენი მოსაზრება სასაქონლო მატერიალური ფასეულობების სახსრებთან 2021 წლის 31 დეკემბრით არსებულ ნაშთებზე და მის შესადარის მონაცემებზე მოდიფიცირებულია.

როგორც მითითებულია მეორე განმარტებით შენიშვნაში კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა წმინდა სარეალიზაციო ღირებულების საფუძველზე. ამიტომ ძირითადი საშუალებები და მარაგები უნდა შეფასებულიყო შესაბამისი ღირებულებით, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს გაყიდვის შედეგად. აღსანიშნავია, რომ კომპანიას არ შეუფასებია ძირითადი საშუალებები და მარაგები წმინდა

სარეალიზაციო ღირებულებით მათზე შესაძლო გაუფასურების ან გაძვირების ზემოქმედების დასადგენად. კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ზემოაღნიშნული ფაქტის მატერიალური გავლენის გამო, ჩვენი მოსაზრება ძირითადი საშუალებების და ინვენტარის შეფასებაზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის მოდიფიცირებული.

განსაკუთრებული გარემოებები

გვინდა მივაქციოთ თქვენი ყურადღება ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნას, რომელიც განმარტავს, რომ ხელმძღვანელობა აპირებს კომპანიის ლიკვიდაციას და, შესაბამისად, მიზანშეწონილად არ მიაჩნია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას განგრძობითი საქმიანობის პრინციპის გამოყენება. შესაბამისად, კომპანიის ფინანსური ანგარიშგება არ მოუზადებია განგრძობითი საქმიანობის პრინციპის საფუძველზე. ჩვენ არ მოგვიხდენია მოსაზრების მოდიფიცირება ამ საკითხთან მიმართებაში.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ის) შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დეტალურად დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“-ს ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელი შპს „ას კონსტრაქშენისგან“ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ „ბესს“-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2021 წლის მმართველობით ანგარიშში. მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 30 ნოემბრით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და ანგარიშგების მე-2 შენიშვნაში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლის შესაბამისად. ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 ნოემბერი 2022 წელი

არესემ საქართველოს სახელით

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.


მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

30 ნოემბერი 2022 წელი

არესემ საქართველოს სახელით

მმართველი პარტნიორი: გიორგი კვინიკაძე

RSM Georgia



შპს „ას კონსტრაქშენი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,395,929	12,611,141
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	255,671	827,263
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	318,044	1,575,567
საგადასახადო აქტივი		42,066	-
ფული და ფულის ექვივალენტები	8	6,369	305,186
სულ აქტივები		11,018,079	15,319,157
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	17,088,759	17,088,759
დაგროვილი ზარალი		(7,557,218)	(4,339,138)
სულ კაპიტალი		9,531,541	12,749,621
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,486,538	2,367,060
სხვა ვალდებულებები		-	202,476
სულ ვალდებულებები		1,486,538	2,569,536
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,018,079	15,319,157

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამინ აბასოვი
 დირექტორი

ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	10,395,929	12,611,141
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	255,671	827,263
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	318,044	1,575,567
საგადასახადო აქტივი		42,066	-
ფული და ფულის ექვივალენტები	8	6,369	305,186
სულ აქტივები		11,018,079	15,319,157
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	9	17,088,759	17,088,759
დაგროვილი ზარალი		(7,557,218)	(4,339,138)
სულ კაპიტალი		9,531,541	12,749,621
ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,486,538	2,367,060
სხვა ვალდებულებები		-	202,476
სულ ვალდებულებები		1,486,538	2,569,536
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		11,018,079	15,319,157

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამინ აბასოვი
 დირექტორი

ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	11	3,766,203	17,076,298
თვითღირებულება	12	(3,568,691)	(14,462,869)
საერთო მოგება		197,512	2,613,429
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	13	(328,921)	(824,421)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,631,881)	(3,228,125)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	7	(235,122)	76,379
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	16	(458,296)	(72,175)
სავალუტო ოპერაციების წმინდა მოგება/(ზარალი)	15	238,628	(112,608)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(3,218,080)	(1,547,521)
მოგების გადასახადი	17	-	-
წლის ზარალი		(3,218,080)	(1,547,521)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(3,218,080)	(1,547,521)

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამინ აბასოვი
 დირექტორი

ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	11	3,766,203	17,076,298
თვითღირებულება	12	(3,568,691)	(14,462,869)
საერთო მოგება		197,512	2,613,429
გაყიდვების და დისტრიბუციის ხარჯები	13	(328,921)	(824,421)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,631,881)	(3,228,125)
საექვო მოთხოვნების გაუფასურების ცვლილება	7	(235,122)	76,379
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	16	(458,296)	(72,175)
სავალუტო ოპერაციების წმინდა მოგება/(ზარალი)	15	238,628	(112,608)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(3,218,080)	(1,547,521)
მოგების გადასახადი	17	-	-
წლის ზარალი		(3,218,080)	(1,547,521)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(3,218,080)	(1,547,521)

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:


 ამინ აბასიძე
 დირექტორი


 ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		17,088,759	(2,791,617)	14,297,142
სულ სრული შემოსავალი		-	(1,547,521)	(1,547,521)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		17,088,759	(4,339,138)	12,749,621
სულ სრული შემოსავალი		-	(3,218,080)	(3,218,080)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9	17,088,759	(7,557,218)	9,531,541

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

 ამინ აბასოვი
 დირექტორი

 ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	17,088,759	(2,791,617)	14,297,142
სულ სრული შემოსავალი	-	(1,547,521)	(1,547,521)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	17,088,759	(4,339,138)	12,749,621
სულ სრული შემოსავალი	-	(3,218,080)	(3,218,080)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 17,088,759	(7,557,218)	9,531,541

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამინ აბასოვი
 დირექტორი

ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
წლის ბარალი		(3,218,080)	(1,547,521)
კორექტირებები:			
საეჭვო ვალების ანარიცხი	7	235,122	(76,379)
გაცემული ავანსების ჩამოწერა	14	99,866	-
აქტივის გამოყენების უფლების ჩამოწერა		-	68,120
მოგება/ზარალი ძირ. საშუალებებისა გაყიდვიდან	16	181,629	-
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,245,692	1,270,847
სავალუტო ოპერაციების წმინდა (მოგება)/ზარალი	15	(238,628)	112,608
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		(1,694,399)	(172,325)
ცვლილება საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:			
ინვენტარის შემცირება/(ზრდა)	6	571,592	14,254
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	7	913,495	1,377,977
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	10	(632,497)	(1,394,183)
სხვა მიმდინარე ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(244,542)	104,908
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები გადასახადების გადახდამდე		(1,086,351)	(69,370)
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,086,351)	(69,370)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების	5	-	(5,275)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	787,891	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		787,891	(5,275)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
აქციონერთა კაპიტალური შენატანები გარდა ჩვეულებრივი		-	-
აქციების გამოშვებისა		-	-
საიჯარო ვალდებულების ცვლილება		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის	15	(357)	(4,650)
წმინდა (კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		(298,817)	(79,295)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	8	305,186	384,481
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	8	6,369	305,186

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

 ამინ აბასოვი
 დირექტორი

 ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „ას კონსტრაქშენი“
 ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021	2020
წლის ზარალი		(3,218,080)	(1,547,521)
კორექტირებები:			
საექვო ვალების ანარიცხი	7	235,122	(76,379)
გაცემული ავანსების ჩამოწერა	14	99,866	-
აქტივის გამოყენების უფლების ჩამოწერა		-	68,120
მოგება/ზარალი ძირ. საშუალებების გაყიდვიდან	16	181,629	-
ცვეთა და ამორტიზაცია	5	1,245,692	1,270,847
სავალუტო ოპერაციების წმინდა (მოგება)/ზარალი	15	(238,628)	112,608
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე		(1,694,399)	(172,325)
ცვლილება საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში:			
ინვენტარის შემცირება/(ზრდა)	6	571,592	14,254
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების შემცირება/(ზრდა)	7	913,495	1,377,977
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა	10	(632,497)	(1,394,183)
სხვა მიმდინარე ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(244,542)	104,908
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები გადასახადების გადახდამდე		(1,086,351)	(69,370)
მიღებული პროცენტი		-	-
გადახდილი გადასახადი		-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,086,351)	(69,370)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების	5	-	(5,275)
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	5	787,891	-
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		787,891	(5,275)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
აქციონერთა კაპიტალური შენატანები გარდა ჩვეულებრივი		-	-
აქციების გამოშვებისა		-	-
საიჯარო ვალდებულების ცვლილება		-	-
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის	15	(357)	(4,650)
წმინდა (კლება) ფული და ფულის ექვივალენტებში		(298,817)	(79,295)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისისთვის	8	305,186	384,481
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოსთვის	8	6,369	305,186

დამტკიცებული და ხელმოწერილია მენეჯმენტის მხრიდან 2022 წლის 30 ნოემბერს:

ამინ აბასოვი
 დირექტორი

ირმა ადამაშვილი
 მთავარი ბუღალტერი

**შპს „ას კონსტრაქშენი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)**

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ას კონსტრაქშენი" ("კომპანია") ფუნქციონირებს საქართველოში, სადაც ის დაფუძნდა 2018 წლის 3 აპრილს, როგორც შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის მესაკუთრეა შპს „ას ჯორჯია“ - საქართველო (100%), საბოლოო მფლობელი - AS Investment Group (ბაქო).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო მასალების წარმოება და სამშენებლო მომსახურებები.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0113, ისნის რაიონი. შოთა ნადირაშვილის ქ. N24, კომერციული ფართი N1

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

2022 წელს კომპანიის დამფუძნებელმა და მენეჯმენტმა მიიღეს გადაწყვეტილება კომპანიის ლიკვიდაციის შესახებ. კომპანია „დირსის“ საცხოვრებელი კომპლექსის მეორე ფაზის მშენებლობისას შპს „ას ჯორჯიას“ მთავარი ქვეკონტრაქტორის როლს ასრულებდა. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებელი მიიჩნევენ, რომ გარე ქვეკონტრაქტორის მოზიდვა ჯგუფისთვის უფრო მომგებიანი და ეფექტური იქნება.

მომზადების საფუძველი

კომპანიის საქმიანობა არ აკმაყოფილებს მოქმედი საწარმოს პრინციპს, ამიტომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები სრულად არ არის გამოყენებული წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბასს-1-ის „ფინანსური ანგარიშგების მომზადება“ 25-ე პარაგრაფის შესაბამისად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული მოქმედი საწარმოს პრინციპით და მომზადებისას გამოყენებული შემდეგი დაშვებები:

- ყველა აქტივი აისახება მათი წმინდა სარეალიზაციო ღირებულებით;
- ყველა ვალდებულება ასახულია ანგარიშსწორების ღირებულებით

ამასთან, მიმდინარე წელს წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის არაკლასიფიცირებული ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს სტანდარტების-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. ორგანიზაციის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ფუნქციის მიხედვით ხარჯების კლასიფიკაციას. მენეჯმენტის რწმენით, ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ

შპს „ას კონსტრაქშენი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ეფუძნება მიმდინარე/გრძელვადიანი ნიშნით დაყოფას.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა. საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

თანხების დამრგვალება

ამ ანგარიშში თანხები მრგვალდება უახლოეს ერთეულამდე.

შეფასების საფუძველი.

ფინანსური უწყისები მომზადებულია საწარმოს შესაძლო ლიკვიდაციის დაშვებით. ამიტომ აქტივები და ვალდებულებები შეფასებულია მათ წმინდა სარეალიზაციო ღირებულებაზე დაყრდნობით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტას წარმოადგენს ლარი. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის შესაბამის საწარმოს ფუნქციურ ვალუტაში საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი მიიჩნევა მოგებად ან ზარალად (გარდა სრული მოგების ფულად ნაკადებად ჰეჯირებისა). არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე უცხოურ ვალუტაში, გაანგარიშდება გარიგების თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. არაფულადი ნივთები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში (მაგ. გასაყიდად ხელმისაწვდომი სააქციო ინსტრუმენტები) წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მომენტისთვის არსებული გაცვლითი სავალუტო კურსის შესაბამისად.

შპს „ას კონსტრაქშენი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური ვალუტის კურსი		
	დოლარი	ევრო	მანათი
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040	1.8222
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.2766	4.0233	1.9288

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება თვითღირებულების მეთოდით, არსებული ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით (საჭიროების შემთხვევაში).

მცირე რემონტისა და შეკეთების ხარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში. იმ შემთხვევაში თუ ხდება ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი კომპონენტის ჩანაცვლება ან ცვლილება, ჩანაცვლებული ღირებულება კაპიტალიზდება ხოლო პირვანდელი ნაწილის ნარჩენი ღირებულება ჩამოინერება.

ყოველი საანგარიშო თარიღისათვის მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკატორებს. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც უდიდესი აქტივების სამართლიანი ღირებულების შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით და გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება ზარალისა და სხვა სრულის შემოსავლის ანგარიშგებაში. წინა წლების აქტივების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი უკან ბრუნდება მიმდინარე პერიოდში იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების სამართლიანი ღირებულების და გამოყენების ღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულ შეფასებებში იქნება ცვლილებები და ეს ცვლილებები გამოიწვევს ძირითადი საშუალებების ანაზღაურებადი ღირებულების გაზრდას.

შემოსავლები და ხარჯები ძირითადი საშუალებების გასვლიდან აისახება მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა. მიწის ნაკვეთი არ ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით. ქვემოთ მოცემული სავარაუდო სასიცოცხლო ციკლების გათვალისწინებით:

სასარგებლო მომს. წლების განმავლობაში

მიწა	არ ერიცხება ცვეთა
შენობა	50 წ
ძირითადი საშუალებები	10 წ
სატრანსპორტო საშ.	10 წ
ავეჯი და სხვა საშ.	5-10 წ
კომპიუტერული ტექნიკა	5 წ
სხვა ტექნიკა	5-10 წ

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება არის ის შეფასებითი ღირებულება რასაც კომპანია მიიღებდა მისი გაყიდვიდან შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით ისე თითქოს აქტივი ყოფილიყო იმ წლოვანების რაც განსაზღვრულია მისი გამოყენების დასრულების დროს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადების, ნარჩენი ღირებულებებისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდის გადახედვა, აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგის პერსპექტიულად.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება. კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;

შპს „ას კონსტრაქშენი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

- ფულის დროით ღირებულებას; და
 - გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.
- დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.
- გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 31	31-90	91-180	181-360	>360
რეგერვის პროცენტი	2%	5 %	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ინვენტარი. ინვენტარი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ინვენტარის ჩამოწერის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილის საფუძველზე. მშენებლობის პროცესში დასრულებული პროექტებისა და მშენებლობის პროცესში მყოფი პროექტების ღირებულება მოიცავს ნედლეულს, პირდაპირ შრომას, სხვა პირდაპირ და დაკავშირებულ ხარჯებს (ნორმალურ საოპერაციო შესაძლებლობებზე დაფუძნებული), მაგრამ არ შეიცავს სესხების ხარჯებს. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება მოიცავს ჩვეულებრივი გაყიდვების სავარაუდო ფასს, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

წინასწარი გადახდა. წინასწარი გადახდა აღირიცხება თვითღირებულებით მინუს გაუფასურების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადასვლა აქტივის საბალანსო ღირებულებაში ხდება, მას შემდეგ რაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს აქტივებზე და სავარაუდოდ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღებას. სხვა წინასწარი გადახდები აღიარდება მოგება ბარალში, როდესაც ხდება წინასწარ გადახდილი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს იმის ინდიკატორი ეომ წინასწარ გადახდილი საქონელი ან მომსახურება არ მიიღება, წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება ბარაში როგორც გაუფასურებულად.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს მინიმუმ სამი თვის თავდაპირველი დაფარვით. ფული და ფულის ექვივალენტების აღრიცხვა ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მოგების გადასახადი. კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა

შპს „ას კონსტრაქშენი“
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საწესდებო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები და არაგამოსყიდვას დაქვემდებარებული აქციები დისკრეტიულ დივიდენდებთან ერთად კლასიფიცირდება კაპიტალად. ახალი აქციების (ან ვარიანტების) უშუალო მოზიდვის ხარჯების პირდაპირი ანაზღაურება აღიარებულია კაპიტალში, როგორც წმინდა გადასახადი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი აღიარებულია იმ ოდენობით, რაც ასახავს კომპანიის მოლოდინს, იმის შესახებ თუ რამდენს მიიღებს მომხმარებლისგან გარკვეული პროდუქტის მიწოდების შემთხვევაში. მომხმარებელთან დადებული თითოეული კონტრაქტისთვის კომპანია განსაზღვრავს: ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც დგინდება სვადასხვა ცვლადი გარემოებების და ფულის დროში ღირებულების გათვალისწინებით; გარიგების ფასს ანაწილებს ცალკეულ შესრულების ვალდებულებაზე, თითოეული საქონლის ან მომსახურების ცალკეული მიწოდების ფასის საფუძველზე. კომპანია შემოსავალს აღიარებს როცა თითოეული ვალდებულების შესრულება ხდება იმ გზით, რაც გულისხმობს მომხმარებლისთვის დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემას.

ცვლადი ფაქტორები ტრანზაქციის ფასის განსაზღვრისას, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასახავს მომხმარებლისთვის განეულ ფასდათმობებს, ფასდაკლებას და კომპენსაციას, მომხმარებლის მხრიდან მისაღები ნებისმიერ შესაძლო ბონუსს და სხვა კონტინგენციას. აღნიშნული ფაქტორები განისაზღვრება “მოსალოდნელი ღირებულების” ან “სავარაუდოდ მიღებული ანაზღაურების” მეთოდით. ცვლადი ფაქტორებს განსაზღვრა ექვემდებარება შემაკავებელ პრინციპს, რომლის მიხედვითაც შემოსავალის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სავარაუდოა, რომ არ მოხდება აღიარებული კუმულაციური შემოსავლის ოდენობის მნიშვნელოვანი შეცვლა. განხილვა მიმდინარეობს სანამ არ აღმოიფხვრება ცვლად ფაქტორებთან დაკავშირებული გაურკვევლობები. მიღებული თანხები, რომლებიც ექვემდებარება შემაკავებელ პრინციპს, აღიარებულია როგორც უკან დაბრუნების ვალდებულება.

